


საქართველოს მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარების ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR DEVELOPMENT OF SCIENCES AND SOCIETY



ISSN 1512-0333



3(35)

თბილისი TBILISI  
2009

10.00.00 ვილოგოგის ეკცენტრებანი PHILOLOGICAL SCIENCES

ნინო კირვალიძე

အကြော်ဖို့ပြန်လည် သိမ်းဆောင်ရွက်ခဲ့သူများ၏ အကြော်အရှင်များ

ვიდრე საკითხის კონკრეტულ განხილვას დაიწყებდეთ, მიზანშეწინილად მიგახნია, პირველ რიგში, დავაძუშსტოთ თავად პოლიტიკური დისკურსის ცნება. არსებობს ამ ცნების ფართო და კიწრო გაებება. ფართო გაებებით, პოლიტიკური დისკურსი განიმარტება როგორც პუბლიცისტური სფეროს ენა. ასეთ ძრის ვეგდებით, მაგალითად, ლანდშერის ნაშრომში “The Political Rhetoric of United Europe” [2, 1998: 35], სადაც მითითებულია, რომ რამდენადაც პრაქტიკულად ყელდა საჯარო გამოსხილას პოლიტიკური დატეირთვა ძექს, იმდენად პოლიტიკური დისკურსი შეიძლება განხილულ იქნეს პუბლიცისტურ ენად, რომელიც გამოიყენება ურთიერთობის სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში.

ჩენ უპირატესობას განიტქმდო პოლიტიკური დისკურსის ვიზრო, ვან დეიკისეულ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადც პოლიტიკური დისკურსი განისაზღვრება როგორც პოლიტიკური სფეროთ შემოფარგლული განრი, რომელსაც სპეციულიკური ქნობრივი თესაურუსი, გარევაული ცუნძცოური დანიშნულება და კომუნიკაციური ზემოქმედება აქვს. ვან დეიკის კონტეურისტი, პოლიტიკური დისკურსის პოლიტიკოსების დისკურსია და თუ მას მოვაქვევთ პროფესიულ ჩარჩოში, იგი შეიძლება ჩაითვალოს დისკურსის ინსტიტუციონალურ უორმად [9, 1998: 124]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ დისკურსად შეიძლება ჩაითვალოს მხრიდან ის დისკურსები, რომლებშიც მეტყველი სუბიექტის მიერ აზრის გამოთქმა ხდება პოლიტიკოსის ამპლუაში შესაბამის ინსტიტუციონალურ გარემოში.

მეორე მხრივ, აუცილებელია ასევე დაგანუსტოთ, თუ რა იგულისხმება კოგნიტური ანუ კონცეპტუალური მეტაფორის ცნებაში და როთი განსხვავდება ის მხატვრული, პოეტური მეტაფორისგან. ტერმინი „მეტაფორა“ ბერძნული წარმოშობისაა (ბერძ. *metaphora* – „გადატანა“) და იგი გულისხმობს მნიშვნელობის გადატანას ერთი სიტყვიდან მეორეზე. ლინგვისტური ლიტერატურის კრიტიკული განზოგადება შესაძლებლობას გდალების დაგასკრინაო, რომ როგორც მხატვრული, ისე კოგნიტური მეტაფორა მეტაფორიზაციის გამოვლინებას წარმოადგენს. მეტაფორიზაცია არის აზროვნების სტრუქტურა, რომელიც შედევრი დამატინის უნარისა, შენიშვნის და დააფიქსიროს მსგავსება. ონტოლოგიურად განსხვავებული კლასის საგნებას თუ მოვლენებს შორის და გააგივოს ან შეაპირისპიროს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გათვალისწინებისა და შეაპირისპირების ობიექტებით საფუძველი არ არსებობს (ამ საკითხთან დაკავშირებით, იხ. კოლექტური მონიტორიზაციები: Teoriia metaphorov, 1990; Metaphor and Thought, 1993). მხატვრული მეტაფორა შედევრი სამყროს სუბიექტურ-პოეტური ხედვისა, რომელიც მეტაფორის ასოციაციურ ხატოვის კოგნიციას და ესთეტიკურ-შეფასებით აზროვნებაზეა დამყარებული, რის გამოც გვი თხრობას განუმორებელ ინდიკაციალობას და ასპარეზულ-ინიციატივობას სხდები.

ტრადიციული მოსახრების საპირისპიროდ, — რომ მეტაფორა არის მხოლოდ პოეტური აზროვნების ფორმა, ამერიკელმა მეცნიერებმა ჯ. ლაროგმა და მ. ჯონსონმა 1980 წელს შეიმუშავეს და ლინგვისტურ ლიტერატურაში დამკვიდრეს კოგნიტური მეტაფორის ცნება. ამ მკვლევართა აზრით, ჩვენი კონვენციულ ეროვნულ და ეროვნობითაც ვაზორენებთ და ვმოქმედოთ, თავიდნ ბოლოიძე მეტაფორულია თავისი არსით. ცნობილი ნაშრომში “Metaphors We Live By” (Lakoff, Johnson 1980) ლაროგი და ჯონსონი აღნიშავენ, რომ ადამიანებს ახახიათებოთ გარემონტკველი სამყროს და მიმდინარე მოვლენების მეტაფორული აღქმა (metaphorical mapping), რაშიც გამოხატულებას პოვნეს ამა თუ იმ ენის მატარებელთა ეულტურა, ეროვნული ფინანსობრივია და მსოფლიმებდევლინის სპეციფიკურობა. ჩვენი წოვალდღიური სასაუბრო ესა გაჯერულებული მეტაფორული გამოოქმედით ეს გარეკვეყლული ილად ამარტივებს კომუნიკაციის პროცესს, რადგანაც მეტაფორის არსებითი სპეციფიკურობა იმაში მდგრადად უცრო ნაცნობი, მარტივი საშუალებით მოახდინოს უფრო რთულის და უცნობის აღქმა-გაზრუბა. ჯ. ლაროგისა და მ. ჯონსონის დაკვირვებით, ენაში არსებული ცალკეული მეტაფორული გამოოქმედი ხშირად წარმოადგენს ერთი დიდი, კოგნიტური მეტაფორის გამოვლინებას, რომელიც თავად შეიძლება არც იყოს ნასხუები ენაში, მაგრამ იგი არსებობს ერთს ცნობივრებაში და გამოვლინებას პოვნებს ენაში ცალკეული გამოოქმედის, სიტყვების, ფრაზელოგიზმების სახით. ახეთი კოგნიტური მეტაფორის ნიზაშია ავტორები ასახელებენ სენტენციას: “Argument is war” (“კამათი ომია”). ეს გამოოქმედ ენაში არ არის, მაგრამ აეტორები მიდინა იმ დასკვამდე, რომ კამათი ინგლისურნოვანი ეულტურის მატარებელთა ცნობივრებაში აღიქმება როგორც მიმ, სადაც მოსაქრები ერთმანეთს მოწინააღმდეგ მხარედ განიხილავს. კამათის დახასიათებაც სიძროელით ტერმინების მოშევლიერით ხორციელდება: მოპაექრები იმარჯვებენ ან მარცხებიან კამათში, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთის პოზიციას ან იცავენ საკუთარს. კამათი სიტყვებით ომია, რომელიც გარეული სტრატეგიით ხორციელდება. იგი მთეკუთნება იმ კოგნიტურ მეტაფორათა რიცხვს, რომელიც ინგლისურნოვანი ეულტურის მატარებელთა ცნობივრებაში და კონფლიქტებშია:

1. Your claims are *indefensible*.  
“თქვენი მტკიცებები ვურავითარ კრიტიკას ვერ უძლებს”.
2. He attacked every weak points in my argument.  
“ის თავს ეხმოლდა ჩემი არგუმენტაციის ყველა სუსტ წერტილს.”
3. His criticisms were right on target.  
“მისი კრიტიკული შენიშვნები ზუსტად მიზანში ხვდებოდა.”
4. I demolished his arguments.  
“მე გავანადგურე მისი არგუმენტაცია.”
5. I've never won an argument with him.  
“მე ვერასდროს გიმარჯვებდი მასთან კამათში.”
6. You disagree? Okay, shoot!  
“თქვენ არ ხართ თანახმა? ძალიან კარგი, თქვენი სროლაა!”
7. If you use that strategy, he'll wipe you out.  
“თქვენ თუ მაგ სტრატეგიას განახორციელებთ, ის გაგანადგურებთ.”
8. He shot down all of my arguments.  
“მან ყველა ჩემი არგუმენტი გაანადგურა.”

ლაკონის აზრით, კამათი უფრო რთული და გვიანდელი მოვლენაა, ვიდრე ფიზიკური კონფლიქტი – ომი. სწორედ ამ უფრო მარტივი, თვალსაჩინო მოვლენის საშუალებით ხდება უფრო რთული და გვიანდელი მოვლენას – კამათის აღმა. მოცემული მსჯელობების განზოგადების საუფლებელზე შეიძლება დაგასცვნა, რომ კონფიტურ ანუ კონცეპტუალურ მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა, რომელიც არ მოიპოვება ენაში მტკრიალიზებული ფორმით, მაგრამ არსებობს ერთი ცნობიერებაში და მის არსებობას ადასტურებს მოვლი რიგი მეტაფორული გამოთქმები, რომელებშიც ამ მოვლენის ნიშანები რეალიზდება მოცემული ერთი ეთნოკულტურული და ეთნოფსიერულოგიური თავისებურების გათვალისწინებით.

კონცეპტური მეტაფორების კვლევისას ყრელთვის დაბეჭდი მეტონიმის პრობლემა. სიტყვების ფიგურალური გამოყენებისას ზოგჯერ მეტაფორები შეიცავს მეტონიმს. მაგალითთაც: “The White House is responsible towards its citizens” (“თეორ სახლს ეკისრება პასუხისმგებლობა თავისი მოქალაქეების მიმართ”). “თეორ სახლში” იგულისხმება პრეზიდენტი ბუში და მისი ადმინისტრაცია და ამგვარად, ის მეტონიმია [8, 245]. ჯორჯ ლუკაფის მიხედვით კი, “თეორი სახლი” მეტაფორაა, რადგანაც იგი ამ შემოსვევაში წარმოადგენს “მზრუნველ მშობელს,” რომელიც პასუხისმგებელია თავის ბავშვებზე ანუ მოქალაქეებზე [4, 245]. მოცემული წინადადების კონცექსტში მეტონიმი არის მორალური მეტაფორა. ეს ნიშანებს, რომ ანალიზის დროს უკრადღება მახვილდება არა ცალკეულ სიტყვებზე, არამედ ლინგვისტურ და სოციოულტურულ კონცექსტში. მეტაფორები შეიძლება შეიცავდნენ მეტონიმებს, მაგრამ ამჯერად არ ვაპირებო მათზე უკრადღების გამახვილებას.

მეტაფორებით მანაჟელირება, უშუალოდ არის დაკავშირებული პოლიტიკური დისკურსის ექსპრესულებით გამოიყოფა სახით, რომელიც, თავის მხრივ, მიზნად ისახავს ზემოქმედებით უფერულობის გაზრდას. ცნობილია, რომ პოლიტიკოსები ენის ფიგურალურ გამოყენებას საზოგადოებრივი ცნობიერების მიზნით მიმართავს კრიზისულ სიტყუციებში, როდესაც ისინი ცდილობენ საზოგადოების დარწმუნებას ისეთი რაღაცების დაჯერებასა და გაკეთებაში, რასაც სხვა შემოხვევაში ის არ გააკეთებდა და არც დაიჯერებდა. თეზისი პოლიტიკური აზროვნების მეტაფორულობის კრიზისული ბუნების შესახებ დადასტურებულია ექსპერიმენტით, რომელიც ჯერ კიდევ 1998 წელს ჩატარდა ამსტერდამის უნივერსიტეტში პროფ. ქ. დე ლანდშერის სელმდგანელობით. ლინგვისტთა სპეციალურმა ჯგუფმა განახორციელა უერაბარლამენტის 700 წევრის 1981-1993 წელებში გამოსვლის ჩანაწერის შინაარსობრივი ანალიზი (content-analysis), რის შედეგადაც გამოვლენილ იქნა, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სიტყაციასა და პოლიტიკოსის დისკურსის მეტაფორულობის ხარისხს შორის. კერძოდ, ექსპრიმენტმა უჩვენა, რომ რაც უფრო დაბაძებულია პოლიტიკური და ეკონომიკური სიტყაცია ქვეყანაში, მით უფრო ხშირად მიმართავნ ეტროპარლამენტის წევრები თავიანთ გამოსვლებში პესიმისტური და აგრესიული შინაარსის მეტაფორებს. ეს კი საშუალებას გააძლევს დაგასკრიათ, რომ პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულობა შეიძლება ჩათვალოს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის მაჩვენებლად [2, 1998: 43].

ამის ნათელი დადასტურებაა, მაგალითად, ერაყის ომთან დაეპირებით ჯორჯ ბუშის პოლიტიკური განცხადებები, რომელთა საშუალებითაც მან შეძლო მოვალეობინა ამერიკელი ხალხის უმეტესობის მხარდაჭერა, მიუხედავად მზარდი ანგისამარი განწყობისა ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ. მათი ლინგვიკულტუროლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ზემოქმედების ძირითად ინსტრუმენტს ბუშის გამოსვლებში წარმოადგენს სახელმწიფო აარატის და შექმნილი სიტყაციის მეტაფორული მოდელირება, რასაც აგტორი აღწევს დისკურსის მსვლელობისას კოგნიტური მეტაფორების, კერძოდ მისი ერთ-ერთი სახეობის – მორალური მეტაფორების ეფექტური გამოყენებით [პოლიტიკური დისკურსის მეტაფორულ მოდელირებასთან დაკავშირებით იხ.: Chilton and Ilyin 1993; Lakoff, 1991; 1995; 2003].

უაღრესად საინტერესოა ომთან დაკავშირებული კონტაქტი მეტაფორების კელევა ძართულ და ამერიკულ პოლიტიკურ დისკურსში იმ საერთო და გამახასევაცემით ნიშნების წარმოჩენის მიზნით, რომლებიც ამ ქვეყნების ხალხების ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებებით აიხსნება. საკვლევ მასალად ადგბული გავაქს 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული ქართული და ამერიკული პოლიტიკური დისკურსი, რომლებშიც იმდენი შევავა მეტაფორული განცხადება გაკეთდა მსოფლიოს სხვადასხვა პოლიტიკოსის მიერ, რომ იგი საბოლოოდ მეტაფორათა ომში გადაიზარდა. კელევამ აჩვენა, რომ ომის მეტაფორული მოდელირება უმეტესწილად უნივერსალური ხასიათისაა და საფუძვლად უდევს სამი ტიპის გამომხატველობით სისტემა, ესენია:

1) ომის კლასვფიცისებული მეტაფორული კონცეპტუალიზაცია, რომლის მიხედვითაც “ომი არის პოლიტიკა, განხორციელებული სხვა საშუალებებით” (“WAR IS POLITICS PURSUED BY OTHER MEANS”), “პოლიტიკა კი ბიზნესია თავისი მოგებით და წაგებით” (“POLITICS IS BUSINESS WITH ITS PROFIT AND

LOSES"). ისე როგორც ცალკეული ადამიანის ინტერესში შედის – იყოს რაც შეიძლება ჯანმრთელი და ძლიერი, რაციონალური სახელმწიფოც ცდილობს მოახდინოს სიმდიდრისა და სამსახურო ძალის მაქსიმალიზაცია. მაგრამ, ეს მეტაფორული ომის გამართლებას შესაძლებელს ხდის მხოლოდ პრაგმატულ და არა მორალურ საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები ცდილობენ კოგნიტური მეტაფორულის გამოყენებით სამართლიანი წარმომაზნონ ომი, საზოგადოება ყოველთვის ხედავს ამ მეტაფორულის შეუსაბამობას რეალურ სიტუაციასთან. მოგება-ზარალის მეტაფორებს უკველოვის მივყავროთ დაუტესულ ჯარისკაცთა სიცოცხლის არასათანადღოდ შეფასებამდე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოკლეულთა უმეტესობა შეიძლება სულაც არ იყოს ბოროტმოქმედი და უბრალოდ უდინაშაულო ახალწეველი, რეზერვაციი ან მოქალაქე იყოს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ამორალურ ქმედებად უნდა იქნეს მიჩნეული ომის მოგებასა თუ მონაცოლაზე მსჯელობა, უზნებაც მეტაფორული აზოვნების ფარგლებში.

2) ჯორჯ დაკოფის მიერ შემუშავებული კოგნიტურ მეტაფორათა სისტემა, რომლებშიც მოცემულია ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია და მისი გამართლების მცდელობა. ლაკოფი სახელმწიფოს განიხილავს მეტაფორულად როგორც პიროვნებას, რომელიც ჩართულია სიციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში მსოფლიო საზოგადოების ფარგლებში. მისი მეტაფორა “სახელმწიფო არის პიროვნება” (“A STATE IS A PERSON”) და მისგან გამომდინარე “შეაცრი მამის” (“STRICT FATHER”) და “მზრუნველი მშობლის” (“NURTURANT PARENT”) მორალური მეტაფორული ფარაგს მომს რეალურ სახეს. ამ მეტაფორულის მიხედვით, ომის ან კატასტროფის დროს ამერიკელი ხალხი მოწოდებულია, დაეხმაროს საკუთარი თუ სხვა სახელმწიფოს საზოგადოების წევრებს. შესაძლებელია, ეს დახმარება შეიზღუდოს იმის გათვალისწინებით, თუ ვინ ითვლება საზოგადოების წევრად. ხალხი უთანაგრძნობს მას, გისაც დახმარება სტირდება, მაგრამ ზოგჯერ ეს თანაცრმნობა ეგოცენტრისტული ხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი მსარში უდგანან იმას, ვინც იზიარებს მათ მორალურ ფასეულობებს, და არ ზრუნავენ იმ ადამიანებზე, რომელთაც განსხვავებული დირებულებები აქვთ.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთმა სცადა მოერგო “მზრუნველი მშობლის” როლი კოგნიტური მეტაფორიდან ვითომდა აფხაზი და ოს ხალხის საქართველოს მთავრობისგან “დასაცავად”, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმი მოსკოვის ქმედება.

თავის მხრივ, ამერიკის ადმინისტრაციაც ჯორჯ ბუშის სახით ცდილობდა “მზრუნველი მშობელი” ყოფილიყო საქართველოსოფი. “სამართლიანობა არის ბალანსი” (“JUSTICE IS A BALANCE”) და “სოციალური შეთანხმების” (“SOCIAL CONTRACT”) მეტაფორულის თანახმად, უსამართლობის შემსწრე მესამე მსარე ვალდებულია ჩაერიოს და “აღადგინოს სამართლიანობა” (“restore justice”), თუკი მსხვერპლ “ერ-სახელმწიფოს” არ ძალუმს წინააღმდეგობა გაუწიოს “აგრესორ-ქვეყნას”.

ამ ომთან დაკავშირდებით, საუკურადლებოა იმ კოგნიტური მეტაფორის გამოყენება, რომლის მიხედვითაც “ერი-პიროვნება ადამიანის მსგავსად იგვენება.” ჯორჯ ბუშის გამოსხლებში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის ტერიტორიული ექსანსია გათანაბრებულია ჭამასთან (“TERRITORIAL EXPANSION IS EATING”), რომლის დროსაც დიდი სახელმწიფოები ყლაპავენ “კლაპავენ” ან “მთლიანად შთანხვავენ”. პატარა მეზობელ სახელმწიფოებს; “Larger states can ‘devour’ or ‘swallow whole’ their smaller and peaceful neighbours.”

27 ხელმძღვანელს, ჯონ მაკეინსა და ბარაკ ობამას შორის გამართულ პირველ ტელეცენტრებში პრეზიდენტობის ორივე კანდიდატმა მეკეორად დაგმო რუსეთის ქმედებები საქართველოში. ობამამ “აგრესიულ რუსეთს” რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის წინააღმდეგ საფრთხე უწოდა. მაკეენმა კი განაცხადა, რომ რუსეთმა ქვეის საერთაშორისო ხორმები უნდა დაიცვას. “ამჟამად რუსეთი ქვეყანას, ნავთობობლარებით გამოკვებილ წარმოადგენს, რომლის მთავრობასაც ‘კბ’-ს პატარატის თანმშრომელი ხელმძღვანელობს. ბატონ ჰუტინის თვალებში სამი ასოა გამოხატული ‘კ’, ‘გ’, ‘ბ’. - განაცხადა ჯონ მაკეენმა (“Russia has become a nation fueled by petrodollars that is basically a KGB apparatchik-run government. I looked into Mr. Putin's eyes, and I saw three letters, a 'K', a 'G', and a 'B'.”).

ლაკოფის მიერ დაკისრიტული კიდევ ერთი კოგნიტური მეტაფორა შეიძლება მივიჩნიოთ უნივერსალით, რადგანაც იგი ისევე აღემცადებულია ქართული სახმადვილისათვის, როგორც ამერიკულისათვის. ეს არის “შეზღველების მხაგრებელის” (“NEIGHBORHOOD BULLY”) მეტაფორა, რომლის თანახმადც “ერი-პიროვნება” არა მარტო ცხოვობს “შეზღველებაში”, არამედ მისმა ცუდმა “საქციელობის” შეიძლება აქციოს იგი მათ მსაგრედებად. ამ მეტაფორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთი “ერი-პიროვნება” იჭრება სხვა ერის “ტერიტორია-სახლში”, ხოცავს “მოსახლეობა-მებატრონებს”, ძარცვავს მათ სიმდიდრეს და ითვისებს მათ “ტერიტორია-სახლს”. ჯერ კიდევ ერაყის ომთან დაკავშირდებით ჯორჯ ბუში აცხადებდა:

“We must send a signal to any would-be Husseins that the world will not tolerate tyrants who violate every standard of civilized behavior – invading, bullying and ‘swallowing whole’ a peaceful neighbor.”  
(PPP, 1990, p. 1669)

სწორედ ეს მეტაფორა მიუსაბადა რუსეთის დამპურიტერიზაციის საქართველოს მიმართ მსოფლიო საზოგადოებამ. “ჰუსეინ ქრისიკილი” წერდა, რომ მესრიზე ჰყვალდა კრიზის იყო: “ეს არის შეუძრავებული, დიდი მსახურებას მიერ პატარა, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნის ცივსისხლიანი მკვლელობა”:

“This is a cold-blooded murder of a small, free independent country by a ruthless big bullying neighbor.” (“Houston Chronicle,” Sunday, August 24, 2008)

საბოლოოდ, რუსეთის იერიში საქართველოზე შეფასებული იქნა, როგორც “იერიში საერთაშორისო წესრიგზე”, ეს იყო იერიში მსოფლიო საზოგადოების წინააღმდეგ (“It was an assault against the international order”).

3) ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის შესამე საწყისია “ბოროტისა” და “კეთილის” მარადიული სამართლიანი ბრძოლის სდაპრისეველი საწყისი (“THE FAIRY TALE OF THE JUST WAR”) მისთვის დამახასიათებელი ბოროტი ძალის დამარცხებით და მეტასიტუაციის გამოკვებით, რომელიც, ზღვაპრისგან განსხვავებით, რეალურ ომში გამარჯვებულია და ვერ ჩაითვლება იმ დიდი მსხვერპლის და ზარალის გამო, რომელიც ნებისმიერ ომს ახლავს თან მიუხედავად იმისა, სამართლიანია თუ არა ეს ომი.

რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთი შეეცადა საერთაშორისო საზოგადოების თვალში

წარმოჩენილიყო როგორც ოს და აფხაზი ხალხების „მსსნედი გმირი“ სამართლიანი ომის ზღაპრის სუუკტიდან და ასე შეეთხა მორალური ანგარიშსწორების ზღაპრი „მსაგვრელი“ საქართველოს წინაძლიდებებამ მისი ეს მცდელობაც უშედგეო აღმოჩნდა. „გაშინგტონ პოსტის“ 16 აგვისტოს ნომერში წერია, რომ „რუსეთის მიზანი ქართული დემოკრატიის მოვლა იყო. საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმეჯერ შეადარა რუსეთის მთავრობა დოლაფ პირლერს და იოსებ სტალინს, და რესენტის ეშმაკი უწოდა: ‘ჩენ დღეს თვალებში გუშურებთ ეშმაკ,’ - თქვა მან. ‘და დღეს ეს ეშმაკი ძალიან ძლიერი, საძაგელი და საშიშია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველასთვის’“:

"Moscow's ultimate aim was to kill Georgian democracy. Georgian President repeatedly invoked comparisons to Adolf Hitler and Joseph Stalin as he denounced the current leadership in Moscow. 'Today we are looking the evil directly in the eye,' he said. 'And today this evil is very strong, very nasty and very dangerous for everybody, not only for us.'"

(The Washington Post, Saturday, August 16, 2008)

ამ ომში საქართველოს მთავრდებამაც სცადა „თვედაცვისა და სსნის“ სამართლანი ომის ზღაპრის სიუკეტის მორგება მოცემულ სიტუაციაზე, რომელიც, სამწუხაოდ, ასევე კრახით დამთვარდა. გაერთი გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსცლისას, რუსების საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ საქართველომ ცხინვალში საომარი მოქმედებების განხორციელებით „გუნდებურ“ გათენა შევლა სამშენებლობრივი შემთხვევება და საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობას ხაზი თავად გადაუსვა“.

ემპირიული მასალის შეპირსპირებითმა ახალიზმა დაადასტურა, რომ ზემოხსენებული ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის მოდელები უნივერსალურია და აძლევანდ, საერთო ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში. თუმცა, ქართულ დისკურსში გამოყენებული მეტაფორუბი უფრო მკეთრი და მძაფრი გამომხატველობით ხასიათდება, რაც ქართული ეთნოკულტურით და ეთნოგენეტოლოგიით ახსნება. ქართულ პოლიტიკურ დისკურსში გაჩნდა უამრავი ფიციურალური გამოთქმა, რომელთა საშალებითაც მოხდა რუსული აგრესის მეტაფორული კონცეპტუალიზაციი: “ღღღს მოვდი საქართველო ერთ ჯაჭვად შეიკრა და რუსეთის აგრესის წინააღმდეგ გამოვიდა.... აქ შეიგრა ურავევი ჯაჭვის პერანგი საქართველოსავის, თავისუფლებისთვის და მოვლი მსოფლიოსთვის. საქართველომ გაუძლო ყველაზე სახეიკი დამცურობლების შემოსევებს და დღეს, როცა საქართველოს XXI საუკუნის ურდო მოადგა, ჩემ გავაგრძელებთ ამ ბრძოლას,” – განაცხად საქართველოს პრეზიდენტმა. მისივე თქმით, საქართველოში მოხდებოდა რუსები იმპერიალიზმის დასამარება. “საქართველო არასდოროს დანებდება მტერს და არასდოროს დაუკავში თავის ამაყ ხუჯვრიან დროშას”, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, – “ეს შევი ჭირი ერთხელ და სამუშაომოდ უნდა მოგეცილებინა, ეს კონფლიქტები ერთხელ და სამუშაომოდ უნდა გადაეცემოთ.”

"შოუსტრონ ქრონიკლი" აღნიშვნას, რომ სააკაშებილმა რუსებს უწოდა "XXI საუკუნის ბარბაროსები, რომელთაც გააუბარისებულია საქართველო":

"Saakashvili referred to the Russians as '21st century barbarians' who had essentially raped

**Georgia.** (*Houston Chronicle*, "Crisis in the Caucasus," Saturday, August 16, 2008, p. 23)

ჩენგ მიერ განხორციელებული ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაციის პალევა ქიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ, რომელმა ქვეყანამაც არ უნდა მოირგოს კოგნიტური მეტაფორები ან შეეცადოს კლასიკური ზედაპირის "შეხევრაპლატ" ან "შეხევლ გმირად" წარმოაჩინოს თავი, მაინც ვარც ერთი გვერ ჩაითვლება გამარჯვებულიად, რადგან თავად ომა ამორალური და ყოვლად გაუმართდებული ქმედება. მას თან ახლავს არა მარტო კორნომიქური, პოლიტიკური და მორალური ზარალი, არამედ საზოგადოების უსარჩაზარი ფსიქოლოგიური სტრუსიც, რადგანაც ყრით მხარის "ზარალი" თვედება მეორის "მოგებად და სარგებლდად." იგივე აზრია ქარტექსტების სახით ჩადებული რუსეთ-საქართველოს ომის ორმას ფრიდმანისცემულ მეტაფორულ შეგასტაშა: "ზარალურის კონცეპტუალიზმი რომ იღმინვერია თამა შები კოფილიყო, ოქროს მუდალს უტენი დაიმსახურებდა გაუმონარი, სასტიკი უგუნდრიბისთვის, კურცხლას - სააკადემიურო ნაჩერარები წინააღმდეგაობისთვის; ძონჯვათ კი კლინტონისა და ბუშის საგარეო პოლიტიკის მუსკურებს უკავშირდათ პოლიტიკური სიბურვისთვის".

*"If the conflict in Georgia were an Olympic event, the gold medal for brutish stupidity would go to the Russian prime minister, Vladimir Putin. The silver medal for bone-headed recklessness would go to Georgia's president, Mikheil Saakashvili, and the bronze medal for rank short-sightedness would go to the Clinton and Bush foreign policy teams."*

(*The Washington Post*, Thomas L. Friedman, "What Did We Expect?" August 19, 2008)

ଲୋକୀଶ୍ୱରାଚନ୍ଦ୍ରା

- Chilton, Paul and Ilyin, Mikhail 1993, "Metaphor in political discourse: the case of the 'Common European House' ". In: *Discourse and Society*. Vol. 4, No.1. London: Sage Publications, p. 7-31.
  - De Landtsheer, Christ'l 1998, "The political rhetoric of a United Europe." In: Feldman, Ofer and Chirst'l de Landtsheer (Eds.), *Politically speaking: a worldwide examination of language used in the public sphere*. New York: Praeger Publishers, p. 35-51.
  - Lakoff , George 1995, "Metaphor, Morality and Politics or, Why Conservatives Have Left the Liberals in the Dust." In: *Social Research*, vol. 62, No. 2 (summer).
  - Lakoff, George 2003, Metaphor and War, Again. Linguistics Department, UC Berkeley.
  - Lakoff, George 1991, "Metaphor and War: The Metaphor system Used to justify War in the gulf." In: *Viet Nam Generation Journal & Newsletter*, vol. 3, No. 3 (November ).
  - Lakoff, George, & Johnson, Mark 1980, *Metaphors We Live By*, Chicago: University of Chicago Press.
  - Metaphor and Thought, 1993, Andrew Ortoni (Ed.), 2-nd edition. Cambridge: Cambridge University Press.
  - Paradis, Christine 2004, Where Does Metonymy Stop? Senses, Facets, and Active Zones. *Metaphor and Symbol* 19. Lawrence Erlbaum Associates, Inc.
  - Van Dijk, Terence A. 1998, "What is political discourse analysis?" In: Blommaert, Jan and Bulcaen, Chris (Eds.), *Political Linguistics*. Amsterdam, p. 124 -142.
  - Теория метафоры. Нина Д. Арутюнова (Ред.). М.: Прогресс, 1990.

რეზიუმე

მოცემულია კოგნიტური კვლევა პოლიტიკურ დისკურსში. კოგნიტურ მეტაფორას ქმნის ამა თუ იმ მოვლენის სახალხო მეტაფორული აღქმა, რომელიც არ მოიძოება ენაში მატერიალიზებული ფორმით, მაგრამ არსებობს ერთ ცნობიერებაში და მის არსებობას ადასტურებს მთელი რიგი მეტაფორული გამოთქმები, რომლებშიც ამ მოვლენის ნიშნები რეალიზდება მოცემული ერთ ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. განხილულია ომის მეტაფორული კონცეპტუალიზაცია ამერიკულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში.

Нино Кирвалидзе

Политический дискурс и когнитивные метафоры

Резюме

Статья посвящена исследованию функционирования когнитивных метафор в политическом дискурсе. Когнитивная метафора создается в результате массового метафорического восприятия того или иного явления действительности, существование которого в национальном сознании доказывается целым рядом метафорических выражений, в которых признаки данного явления реализуются с учётом культурных и психологических особенностей воспринимающей нации. В работе рассматривается метафорическая концептуализация войны в американском и грузинском политических дискурсах.

Nino Kirvalidze

Political discourse and cognitive metaphors

Summary

The aim of our paper is to study political discourse as a weapon of war and show how military activities may be converted into the war of metaphors. From this viewpoint, it was very interesting to analyze Georgian and American political discourses related to Russia-Georgia war August, 2008. This war had a worldwide resonance and later on it turned into the war of metaphors. Our research has shown that metaphorical conceptualization of war in Georgian and American political discourses is based on three types of systems of expressive means: 1) Clausewitzian metaphorical conceptualization of war according to which “War is politics pursued by other means,” “Politics is business with its profit and loses.” These metaphors allow war to be justified on pragmatic and not on moral grounds; 2) George Lakoff’s system of cognitive metaphors aimed to justify war morally by employing conceptual metaphors like “A state is a person”, “Strict Father”, “Nurturant Parent,” “Neighborhood Bully,” etc; 3) “The fairy tale scenario for a just war” which, being the most natural way to justify war on moral grounds, is to fit the fairy tale structure to a given situation, with a hero fighting to rescue people from the evil. Yet, the reality has proved that however hard politicians may try to apply cognitive metaphors or a fairy tale scenario to any war in order to justify it they would never succeed against the background of the heavy casualties and the great moral, social, economic and political damages caused by the war. So any belligerent country is doomed to be defeated from the very moment of opening the fire. The conclusion of our study is that the models of metaphorical conceptualisation of war are universal and thus common for Georgian and American political discourses. However, these metaphors are expressed relatively in a sharper way in Georgian political discourse that can be explained by ethnocultural and ethnopsychological characteristics of the Georgian nation.